# საქართველოს რაგბის კავშირის
# გამგეობის სხდომის ოქმი

თარიღი: 11-12 ივლისი, 2023 წ.

ესწრებოდნენ:

- კობა გიორგაძე (დაბადებული 26.10.1979 წ.; პირადი № 60001009009)
- თორნიკე გოგებაშვილი (დაბადებული 16.01.1989 წ; პირადი № 12001014781)
- მამუკა გორგოძე (დაბადებული 14.07.1984 წ; პირადი № 01031003677)
- აკაკი დავითულიანი (დაბადებული 01.06.1975 წ.; პირადი № 12001031106)
- ზვიად თავართქილაძე (დაბადებული 06.09.1975 წ.; პირადი № 01029001924)
- დავით კაჭარავა (დაბადებული 16.01.1985 წ.; პირადი № 01035000140)
- გიორგი კობახიძე (დაბადებული 23.11.1953 წ., პირადი № 01011021299)
- იოსებ ტყემალაძე (დაბადებული 25.12.1976 წ., პირადი № 01024009582)
- გრიგოლ ქერაშვილი (დაბადებული 16.03.1956 წ.; პირადი № 35001058678)
- გივი ჭიჭინაძე (დაბადებული 02.07.1959 წ.; პირადი № 01009002077)
- ალექსანდრე ხვედელიძე (დაბადებული 21.10.1965 წ; პირადი № 01014002287)

**სხდომის მომწვევი:** დავით კაჭარავა, სრკ-ს გამგეობის თავმჯდომარე

**სხდომის თავმჯდომარე:** დავით კაჭარავა

**სხდომის მდივანი:** ნატალია კურტანიძე

**სხდომაზე დამსწრე სხვა პირები:**

- ნიკოლოზ ალავიძე, სრკ-ს პრეზიდენტის მრჩეველი
- მირიან თავზარაშვილი, სრკ-ს სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე
- თამარ გიორგობიანი, სრკ-ს არმ მენეჯერი
- ასმათ ჯანგულაშვილი, სრკ-ს ფინანსური დირექტორი
- ივანე დავითაშვილი, სრკ-ს მწვრთნელთა განვითარების მენეჯერი
- გაიოზ მონიავა, სრკ-ს რეგიონალური განვითარების სამსახურის უფროსი

**სხდომამ განიხილა დღის წესრიგში შემავალი შემდეგი საკითხები:**

1. კლუბებში არსებული მდგომარეობა და საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით გასამართი დიდი 10, ესპუართა, I და რეგიონალური ლიგის შეჯიბრებებში (2023-2024 სეზონი) მონაწილე კლუბის (გუნდების) საბაზისო დაფინანსების განაწილების წესი;
2. საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით ორგანიზებული კაცთა, ქალთა და ჭაბუკთა შეჯიბრებების ჩატარების შესახებ დებულებაში ცვლილებებისა და განახლებების შეტანა;
3. საკლუბო რეფორმა;
4. „შავი ლომის“ მორაგბეების კლუბებში განაწილების საკითხი (რაოდენობა);

5. ინფრასტრუქტურული საკითხები

## სხდომამ გადაწყვიტა:

**პირველ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა კლუბებში არსებული მდგომარეობის მიმოხილვას და საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით გასამართი დიდი 10, ესპუართა, I და რეგიონალური ლიგის შეჯიბრებებში (2023-2024 სეზონი) მონაწილე კლუბის (გუნდების) საბაზისო დაფინანსების განაწილების წესს,** სრკ-ს პრეზიდენტმა იოსებ ტყემალაძემ მიმოიხილა კლუბების არსებული ფინანსურ მდგომარეობა და დასძინა, რომ საკლუბო რეფორმის ერთერთ მნიშვნელოვან ეტაპად მოიაზრება კლუბების გაძლიერება ფინანსური და კომერციული კუთხით, შიდა სპონსორებთან მუშაობისა და დამატებითი, კონკრეტულად კლუბებზე განპიროვნებული დაფინანსების მოზიდვით. ამის შემდგომ, სრკ-ს ფინანსური სამსახურის უფროსმა ასმათ ჯანგულაშვილმა გააცნო დამსწრეებს საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით გასამართი დიდი 10, ესპუართა, I და რეგიონალური ლიგის შეჯიბრებებში (2023-2024 სეზონი) მონაწილე კლუბის (გუნდების) საბაზისო დაფინანსების განაწილების წესის პროექტი და საბაზისო დაფინანსების მიღებასთან დაკავშირებული სიახლეები. აღინიშნა, რომ დიდი 10-ის საბაზისო დაფინანსებიდან, თითო გუნდს აკლდება 10000 ლარი, რითაც იქმნება ესპუართა ლიგის საპრიზო ფონდი. კლუბების საბაზისო დაფინანსების წესი [იხ. დანართის #1] გამგეობის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს.

**მეორე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით ორგანიზებული კაცთა, ქალთა და ჭაბუკთა შეჯიბრებების ჩატარების შესახებ დებულებაში შესატანი ცვლილებებისა და განახლებების განხილვას**, სრკ-ს გამგეობის წევრებმა მოისმინეს სრკ-ს მწვრთნელთა განვითარების მენეჯერის ივანე დავითაშვილის მოხსენება დებულებაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობასთან დაკავშირებით და დეტალურად იმსჯელეს თითოეულ ცვლილებაზე. ცვლილებებისა და განახლებების დეტალური ნუსხა იხ. დანართში.
საშეჯიბრო დებულების რედაქტირებული ვერსია გამოქვეყნდება 15 აგვისტომდე.

**მესამე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა საკლუბო რეფორმას,** სრკ-ს გამგეობის წევრებმა მოისმინეს აღმასრულებელი დირექტორის თორნიკე გოგებაშვილის პრეზენტაცია, სადაც დეტალურად იქნა ჩამოყალიბებული საკლუბო რეფორმის ყველა ასპექტი, განხორციელების ეტაპები, მიზნები და მოსალოდნელი შედეგები. საკლუბო რეფორმის გეგმის შემოთავაზებული ვარიანტი მოიაზრებდა საქართველოს ჩემპიონატის რესტრუქტურიზაციას (მ.შ. დიდი 10-ის მონაწილეთა რაოდენობის შემცირებას), პროფესიული კლუბის კონცეფციის გადახალისებას და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას, კლუბებისთვის აკადემიების სტატუსის მინიჭებით მორაგბეთა პროფესიული სწავლების კერების გაჩენას და ა.შ. სრკ-ს მიერ შემუშავებული გეგმის

თანახმად, 2023-2024 წწ. სეზონი მოემსახურება რეფორმისთვის ნიადაგის მომზადებას, ხოლო 2024-2025 წწ. სეზონის დაწყებისთანავე ყველა დაანონსებული ცვლილება ძალაში შევა.

თორნიკე გოგებაშვილის მოხსენებას გამოეხმაურა სრკ-ს პრეზიდენტი იოსებ ტყემალაძე, რომელმაც განმარტა რომ 2023-2024 წწ. სეზონი უმეტესწილად მიეძღვნება კლუბებთან მუშაობას, სარაგბო სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებას, მოწვეულ საკონსულტაციო კომპანიასთან ერთობლივად მათი ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერებას, მარკეტინგულ და კომერციულ აქტივობებს და სხვა ზომებს, რაც აუცილებელია რეფორმის განსახორციელებლად.

ხანგრძლივი მსჯელობა გაიმართა რეფორმის ერთერთ მნიშვნელოვან კომპონენტზე - დიდი 10-ის მონაწილე გუნდების რაოდენობის შემცირებაზე, რომლის საჭიროებაც მოტივირებული იყო საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი დივიზიონის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის, სპორტული ხარისხისა და მარკეტინგული ღირებულების ამაღლების საჭიროებით. აზრების ურთიერთგაცვლის შედეგად, გამგეობის წევრები შეთანხმდნენ იმაზე, რომ არასამართლიანი იქნება დიდი 10-ის მონაწილეთა რაოდენობის შემცირება მანამ, სანამ ყველა კლუბს არ მიეცემა საშუალება ისარგებლოს საკლუბო რეფორმის საწყის ეტაპზე შემოთავაზებული შესაძლებლობებით, გაიზარდოს ორგანიზაციული და სპორტული კუთხით.

გამგეობის წევრებმა კენჭი უყარეს საკლუბო რეფორმის სამ ძირითად კომპონენტს შემდეგი შედეგებით:

| | |
|---|---|
| • **დიდი 10-ის მონაწილეთა რაოდენობის შემცირება** | **არ იქნა მიღებული** |
| • **კლუბების რესტრუქტურიზაცია და ფინანსური მოთხოვნების დაწესება** - *2023-24 წწ. - გარდამავალი სეზონი; 2024-25 წწ. - რეფორმის პირველი წელი* (თანდართული პრეზენტაციის შესაბამისად) | **მიღებულ იქნა ერთხმად** |
| • **საკლუბო აკადემიების შექმნა** - *2024 წლიდან* (რეგიონალური და საქალაქო აკადემიების სტატუსი მიენიჭება კლუბებს, რომლებსაც გააჩნიათ სათანადო სარაგბო ბაზები და სრულყოფილი სტრუქტურა, შეუძლიათ შეასრულონ სხვა მნიშვნელოვანი მოთხოვნები (მაგ. მსაჯთა სასწავლო პროგრამები, ნიჭიერ მორაგბეთა სწავლების პროგრამები) და დააკმაყოფილონ სხვა კრიტერიუმები - **განაცხადების განხილვის საფუძველზე**) | **მიღებულ იქნა ერთხმად** |

**მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა „შავი ლომის“ მორაგბეების კლუბებში განაწილებაზე დაწესებულ შეზღუდვებს,** დამსწრეებმა ყოველმხრივ განიხილეს აღნიშნული თემის ისეთი ასპექტები, როგორიცაა „შავი ლომის“ შედგენისა და მოთამაშეების წამოყვანისთვის კლუბების კომპენსაციის წესი, „შავ ლომში“ სხვადასხვა კლუბებიდან გადმოსული მორაგბეების რაოდენობა, ფრანჩიზის გავლენა საქართველოს ჩემპიონატზე, „შავი ლომის“ გარკვეული მორაგბეებისთვის სათამაშო დროის უზრუნველყოფის საჭიროება. მსჯელობის შედეგად, რომელიც მეორე დღესაც გაგრძელდა, ორი საპირისპირო მოსაზრებიდან:
ა) კლუბებს საერთოდ აეკრძალოთ „შავი ლომის“ მორაგბეების დამატება, და
ბ) მთლიანად მოიხსნას შეზღუდვა კლუბებში „შავი ლომის“ მორაგბეების დამატებაზე,
წარმოიქმნა კომპრომისული გადაწყვეტილება:
**კლუბებს მიეცეთ ნებართვა შეუზღუდავად დაიმატონ „შავი ლომის“ მორაგბეები საქართველოს ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე, ხოლო ფლეიოფში „შავი ლომის“ მორაგბეების კლუბებში თამაში აიკრძალოს.**
გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 6 ხმით 4-ს წინააღმდეგ (დავით კაჭარავა, ალექსანდრე ხვედელიძე, კობა გიორგაძე, გრიგოლ ქერაშვილი); გივი ჭიჭინაძემ ხმის მიცემისგან თავი შეიკავა.

**მეხუთე საკითხად გამგეობის წევრებმა მოისმინეს** სრკ-ს პრეზიდენტის იოსებ ტყემალაძის მოხსენება ინფრასტრუქტურული საკითხებზე, რომელიც ეხებოდა არსებული სარაგბო ბაზების მოვლას, მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს და სამომავლო გეგმებს.